



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N41

2018 წლის 23 მარტი

ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟების) 2018 წლის საკურორტო სეზონისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ „საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქ.ქობულეთის ტერიტორიის ზონებად დაყოფის შესახებ“ განკარგულებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N01/2422 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით განკარგოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (2018 წლის 01 ოქტომბრამდე) შესაბამისი ზონების მიხედვით დროებითი ტიპის კაფე-ბარების (მათ შორის ბუნგალოების), სავაჭრო, განართობი ობიექტების და ზღვისპირა სანაპირო ზოლში (პლაჟი) შეზღუდვებისა და ზომამცირე მცურავი საშუალებების (კატარლა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი, კატამარანი, ნავი და სხვა მცურავი საშუალებები) განთავსების მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ. მჭედლიშვილი